N1721 2015 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მდინარე დებედაზე, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის სადახლო-ბაგრატაშენის სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ახალი ხიდის მშენებლობის შესახებ“ შეთანხმებით გათვალისწინებული ერთობლივი კომისიის ქართული მხარის შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მდინარე დებედაზე, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის სადახლო-ბაგრატაშენის სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე ახალი ხიდის მშენებლობის შესახებ“ შეთანხმების მე-10 მუხლის საფუძველზე, დამტკიცდეს ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული ერთობლივი კომისიის (შემდგომში – კომისია) ქართული მხარე შემდეგი შემადგენლობით:

ილია დარჩიაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

თენგიზ შერგელაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

მაია ბითაძე – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

გოჩა ლორთქიფანიძე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

დავით ჯალაღანია – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

ნუგზარ გასვიანი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალოების შემსრულებელი, კომისიის წევრი;

გიორგი ტურიაშვილი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოადგილე, სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, ს/პ პოლკოვნიკი, კომისიის წევრი;

ვახტანგ ლაშქარაძე – საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

ლევან მაჭავარიანი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი, კომისიის წევრი;

გრიგოლ კაკაურიძე – საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი, კომისიის წევრი;

გიორგი ცინცაძე – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის მდივანი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**